ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/Q 338-25
„28" 02. 2025 წ.

ი. ესხაია
გ. ხოს(?)
ი. ...
ი. ...

დადგენილება №004795
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

28.02.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა განვიხილე, 2024 წლის 30 ოქტომბრის №004795 მითითება და 2024 წლის 4 ნოემბრის №004795 შემოწმების აქტი, შედგენილი შპს **„სელფი მობაილი"**-ს (ს/ნ 204450584; მისამართი: ქ. თბილისი, ბამბის რიგი №8) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, **შპს „სელფი მობაილი"**-ს მიერ განთავსებულია საბაზო რადიოსადგური.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2024 წლის 30 ოქტომბერს შედგა №004795 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 3 (სამი) კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან უსაფრთხოების წესების დაცვით, დემონტაჟის განსახორციელებლად.

2024 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, შედგა №004795 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2024 წლის 18 და 25 ნოემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვების თარიღებისა და დროის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომებზე მხარე არ გამოცხადდა.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის, საქმეში არსებული გარემოებები მოითხოვდნენ დამატებით გამოკვლევასა და შესწავლას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 31 დეკემბრის №4-3/278-გ/24 ბრძანებით, **შპს „სელფი მობაილი"**-ს მიმართ, 2024 წლის 30 ოქტომბრის №004795 მითითებით დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის

№ 195/25 25.03.25



ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

საქმეზე, დადგენილების მიღების ვადა გაგრძელებულ იქნა 2024 წლის 31 დეკემბრიდან არაუმეტეს 2 თვით.

2025 წლის 27 იანვარს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდნენ **შპს „სელფი მობაილი"-ს** წარმომადგენლები მოქ. კონა ლაგურაშვილი (პ/ნ 01014003799) და მოქ. ნათელა კობიაშვილი (პ/ნ 01021007874), რომლებმაც დაადასტურეს მითითების და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარეებმა აღნიშნეს, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა შპს „სელფი მობაილი"-ს მიერ და აპირებენ სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვებას და ითხოვეს წარმოების მაქსიმალური ვადები. სამსახურის მხრიდან მხარეს განემარტა, იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც შეიძლება დადგეს დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში. სხდომაზე ასევე დაბარებული იყო შპს „თანამედროვე განათლების აკადემია" – მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა.

2025 წლის 13 თებერვალს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შპს „თანამედროვე განათლების აკადემია"-ს გენერალური დირექტორი მოქ. ლევან ჯაფარიძე, რომელსაც სამსახურის მხრიდან განემარტა, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ევალება დარღვევის გამოსწორება. მხარემ აღნიშნა, რომ ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა სხვის საკუთრებაში არსებული ანტენების დემონტაჟის განხორციელებაზე, რადგან აღნიშნული ანტენების მოსარგებლეს და განმახორციელებელს წარმოადგენს შპს „სელფი მობაილი". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მხარემ აღნიშნა, რომ ანტენების დემონტაჟი უნდა მოახდინოს შპს „სელფი მობაილმა". მხარემ უარი განაცხადა ოქმზე ხელის მოწერაზე.

2025 წლის 28 თებერვალს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ **შპს „სელფი მობაილი"-ს** მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №004795 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომლებზეც შესაძლოა გავრცელდეს სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში არსებული ნორმების მოქმედება. ზოგადი წესის თანახმად, სანებართვო დოკუმენტაციის დარღვევით ან მის გარეშე მშენებლობის განხორციელებისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის განმახორციელებელ პირს, ანუ პირს, უშუალოდ რომლის ქმედებამაც გამოიწვია სამშენებლო სამართალდარღვევა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ასეთი პირის დადგენა, სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შენობა-ნაგებობის ან/და მიწის სამშენებლო ნაკვეთის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს.

მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, უნებართვო სამუშაოების მწარმოებელ პირს წარმოადგენს შპს „სელფი მობაილი" (ს/ნ 204450584).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, **შპს „სელფი მობაილი"-ს** მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის შენიშვნის

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებულია საბაზო რადიოსადგური.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 127-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 127-ე მუხლის მესამე ნაწილით, 128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 131-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით და

დავადგინე:

1. **შპს „სელფი მობაილი"** დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, საბაზო რადიოსადგურის განთავსებისათვის;

2. ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დაევალოს, ამავე მისამართზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებული საბაზო რადიოსადგურის დემონტაჟი;

3. **შპს „სელფი მობაილ"-ს** დაევალოს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

   საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „სელფი მობაილ"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი გოგი ჩიქოვანი

# ელექტრონული საგადახდო დავალება No 143272

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 143272

თარიღი/Date: 28/03/2025 რეფერენს ნომერი/Reference number: 26558990827 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სელფი მობაილ

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE17BG0000000118376200GEL

თანხა/Amount
4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სელფი მობაილ

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
204450584

საკომისიო/Commission
GEL

მიმღების დასახელება/Recipient
სახელმწიფო ხაზინა

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
28/03/2025

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება # 004795 თარიღი: 28.02.2025

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:


# ელექტრონული საგადახდო დავალება No 143272

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 143272

თარიღი/Date: 28/03/2025 რეფერენს ნომერი/Reference number: 26558990827 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სელფი მობაილ

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE17BG0000000118376200GEL

თანხა/Amount
4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სელფი მობაილ

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
204450584

საკომისიო/Commission
GEL

მიმღების დასახელება/Recipient
სახელმწიფო ხაზინა

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
28/03/2025

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება # 004795 თარიღი: 28.02.2025

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: